


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, დღემდე ბეჭდუდი სიფყაა, ფეიქობით და ჭაბჭობით ბუბთის გაფანა ყველა უკადრისადაც უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 დეკემბერი, 2012 წელი.

№233 (7109)

რუსულში

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

რობერტ სტურუა:

თქვენს პოპულარულ კანონი, ღვთის კანონი მაინც, გახრწნილ ლობისტებო, ამერიკის, ევროპის და საქართველოსი!



რიტებს? ო, ამერიკის ბოლო-ლა ჩინოვნიკებო, დედამიწას თქვენს საკუთრებად რომ თვლით და საქართველოს ბედი კი ფეხებზე გკიდიათ! ცოტა ჭამეთ, არა? გაბრაზდით, არა? მაიაშიში სახლებს ვეღარ ვიდულობთ? თუ სამართალი სამუდამოდ არ დაასამარეს ცივილიზაციის ერთგულმა შვილებმა (მე კი მჯერა, რომ ჯერ ცოცხალია), თქვენც მოგივლით კანონი, ღვთის კანონი მაინც! გახრწნილ ლობისტებო, ამერიკის, ევროპის და საქართველოსი", - წერს სტურუა.

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა რობერტ სტურუამ facebook-ის საკუთარ გვერდზე მმართველთა გაავრცელა, რომელსაც „ჯი-ეიჩ-ენი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ო, ლობისტებო, ლობისტებო! შემოგაკლდათ ქართველი ხალხის ფული, რომელსაც ჩვენი ლამაზი მთავრობა გინდიდათ? ო, ლობიზმი, - ვთქვით პირდაპირ, - ო, ქრთა-

მო, მექრთამეებო დააკანონეთ ძარცვა პატარა ქვეყნების! ო, თვალთმაქცო ვეროპა, ადამიანების უფლებებს ისტერიკულად რომ გვიქადაგებთ, ვეღარ განვიძიან ქართველი ჩასუქებულ ტირანნიკები ჯამაგირს? ზამთრის კურორტებზე სეირნობა ვეღარ გამოგდით, ბავშვები ვერ დაისვენებენ შობის არდადეგებზე კორტინა დამპყველობაში და ალპებში? იჭერენ თქვენ მათსოვარ ფავო-



რობერტ სტურუა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად 30 ნოემბერს დაინიშნა. გადანყვეტილება კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ მიიღო და სტურუას დანიშნის შესახებ ოფიციალურად განუცხადეს თეატრის თანამშრომლებს. რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან 2011 წელს მისი კრიტიკული განცხადებების გამო უშუალოდ მაშინდელმა კულტურის მინისტრმა გაათავისუფლა. მას შემდეგ სტურუა რუსეთში მოღვაწეობდა.

მსხატაში მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ნათლობის ადგილი ნაღბურად



რაბოე ამასინჯაბან ფაქტებს?! 4



იდეალური პირობები შეუქმენით თაა 3 თუთბარიძის ნებიერას!



გულბრილოებისა და ამპარტაპნოების შედეგი

შეხლოებით და ლუსუსებით გამოცხადული აპლანი 5

როგორ მოხანს სოფლის მეურნეობის პრობლემების გადაწყვეტის პერსპექტივები სამინისტროდან და მუნიციპალიტეტიდან? 6 7

მთავარი, აღამიანა თავის გულში ააშენოს ტაძარი

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინწინ, სინის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებისას ბრძანა.



უწმინდესმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა, ღვთისმშობლის ტაძარად მიყვანების დღესასწაული მიულოცა. ილია მეორემ აღნიშნა, რომ ეს არის დიდი დღესასწაული და უნდა გავიაზროთ, თუ რას ნიშნავს ტაძარად მიყვანება.

კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებით, ტაძარი არის სასუფევლის კარიბჭე და ბედნიერია ის ადამიანი, ვინც ხშირად არის ტაძარში.

უწმინდესმა ასევე ბრძანა, რომ ტაძარი არის განსაკუთრებული ადგილი, სადაც მადლი ღვთისა სუფევს და უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მომავალ თაობას უნდა ვასწავლიდეთ ამას.

ამბობენ, რომ ორი ან სამი ტაძარი ავაშენე. მთავარია, ადამიანმა თავის გულში ააშენოს ტაძარი, მისი გული უნდა გახდეს უფლის სამყოფელი, - აღნიშნა უწმინდესმა ქადაგებისას.

პატრიარქმა ასევე რამდენიმე სასულიერო პირი გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

ბიძინა ივანიშვილი ავტოპარიაში დაღუპულთა ოჯახებს უსამძიროებს



პრემიერ-მინისტრი იმერეთში, სოფელ წვეასთან მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით მწუსრებებს გამოთქვამს და გარდაცვლილთა ოჯახებს უსამძიროებს.

შეზარატი ტრაგედია დატრიალდა იმერეთში, სოფელ წვეასთან. ავარიამ შეიძინა ადამიანის სიცოცხლე შეინირა. მიწადა, სამძიარი ვუთხრა დაღუპულთა ოჯახებს, მათ ახლობლებს და გავიზიარო მათი დიდი მწუხარება, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ქუთაისი-თბილისის მიმართულებით მოძრავი სატვირთო მანქანის ბორტიდან ლითონის რულონი გადმოვარდა, რომელიც საპირისპიროდ მოძრავ მიკროავტობუსს დაეცა.

მიკროავტობუსის მძღოლი და ხუთი მზგავრი, მათ შორის ორსული ქალბატონი, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ერთი - სავადმყოფოში მიყვანისთანავე.

საპროფილო ნატოსთან სტრატეგიულ თანამშრომლობას გააძლიერებს

საპროფილო აპირებს კიდევ უფრო გააძლიეროს სტრატეგიული თანამშრომლობა ნატოსთან და პარტნიორ ქვეყნებთან, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მია ფანჯიკიძემ ბრიუსელში ჟურნალისტებს განუცხადა.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ კორესპონდენტი ბრიუსელიდან იუწყება, ფანჯიკიძე ხვალ დაგეგმილ ნატო-საქართველოს კომისიის საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვა, ასევე მონაწილეობას მიიღებს ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო მისიასთან დაკავშირებულ შეხვედრაში.

ვისაუბრებ იმ სტრატეგიაზე, რომელიც საქართველოს ექნება ნატოში ინტეგრაციის გზაზე. საგარეო პოლიტიკის ეს პრიორიტეტი არ შეცვლილა და პირობით, საქართველო აპირებს, კიდევ უფრო გააძლიეროს სტრატეგიული თანამშრომლობა ნატოსთან და პარტნიორ ქვეყნებთან. საუბარი იქნება ჩვენს სამოქმედო გეგმაზე და მის შეფასებაზე. კითხვა-პასუხის რეჟიმში კი საგარეო საქმეთა მინისტრების შეკითხვებს ვუპასუხებ, - განაცხადა ფანჯიკიძემ.

ინტერპრესნიუსი

შეზარატი უპატი

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ დიდი ოდენობით უკანონო შეიარაღება ამოიღო. როგორც თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა ვაკო ავალიანმა განაცხადა, ეს იარაღი სამხედრო პოლიციამ, ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციასთან ერთად, ერთერთი სასურველი ბინიდან ამოიღო.

ეს არის სხვადასხვა კალიბრი-სა და მოდელის მასობრივი იარაღი, რომელიც რეგისტრირებული არსად არის. იარაღის საცავის შესახებ ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროსთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მოქალაქემ თავდაცვის უწყებას მიმართა.

სამხედრო პოლიციის უფროსის კახა ჩხარაძის განმარტებით კი, ამოღებულია დაახლოებით ასი ერთეული იარაღი, მათ შორის მპ-5, მპ-3, მპ-5კ და პეკერკოხის ავტომატური იარაღები.

არჩევნების წინ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი სოზარ სუბარი აცხადებდა, რომ მაშინდელ შს მინისტრის ბაჩო ახალაიასა და მისი ძმის დათა ახალაიას მიერ თბილისში 20-ზე მეტ ბინაში იარაღის საწყობები შეიქმნა, რითაც ხელისუფლება ფართომასშტაბიანი პროვოკაციების მოწყობას გეგმავდა.

როგორც სუბარი აცხადებდა, აღნიშნული ინფორმაცია ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძეს ინფორმირებულმა წყარომ მიანოდა. სუბარი იმასაც ამბობდა, რომ წყაროს შესაბამისი ვიდეო მასალა გააჩნდა, რომელშიც აღნიშნული იყო თუ როგორ შექმნიდა აღნიშნულ ბინებში იარაღი.

„ქართული ოცნების“ წევრი მამუკა არეშიძე თვლის, რომ ეს მსოფლიო ერთ-ერთი იმ 20 ბინიდან, რომელზეც „ქართული ოცნება“ არჩევნებამდე აცხადებდა.

„ჯერ კიდევ არჩევნებამდე ვიცოდა, რომ 20-ზე მეტი ბინა არსებობდა, სადაც ეს იარაღი ინახებოდა. მედიის საშუალებით ითქვა კიდევ ამაზე. ერთ-ერთი ბინა ვიცოდი, მაგალითად, რომ ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე იყო, მაგრამ ეს ამბავი ისე გახსნა და მეზობლების მხრიდან, რომ მაშინვე დაცალეს.

პატარა ბავშვიც კი იოლად მიხვდება, რომ ეს ხდებოდა დაგეგმილი ძალისმიერი აქციებისთვის. სავარაუდოდ, ამისათვის უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ როგორც ჩანს, რაღაც არ გამოვიდა.

ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ ზოგიერთი გადატრიალების გზით აპირებდა არჩევნების შედეგების შეცვლა. ამ საქმით მხოლოდ ერთი პირი არ იყო დაკავებული და ძალიან მალე გაიგეს ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა, კერძოდ აშშ-ის საელჩოს მესვეურებმა. ამან გამო-

ამ იარაღით არჩევნების შედეგის შეცვლა იმპოპულარია...



ინვია ის, რომ ეს გეგმა საერთოდ ჩაიშალა, - აცხადებს მამუკა არეშიძე.

უფროსად არსენალის რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი, თვლის, რომ ვერსიებზე საუბარი, რისთვის შეიძლება ყოფილიყო განთავსებული ამ ოდენობის იარაღი, არ არის მიზანშეწონილი, რადგან ობიექტური გამოძიების ჩატარების შემთხვევაში ყველაფერი არც ისე რთულად დასადგინია.

„ყველამ ნახა ალბათ კადრებში, რომ ეს იყო საკმაოდ ძვირადღირებული და თანამედროვე იარაღი. რატომ და რისთვის იყო, ამას, ალბათ, გამოძიება დაადგენს. იარაღის გამოყენება ათასწიერი ბინით შეიძლება. საქართველოზე არავითარი საერთაშორისო სანქცია არ არის დაწესებული, რომელიც აუკრძალავდა რაიმე ტიპის შეიარაღების შესყიდ-

ვას. ერთადერთი, რაც საქართველოს არ შეუძლია, შეიძინოს, ეს არის 300 კმ რადიუსზე უფრო შორი მოქმედების რაკეტები და ბირთვული შეიარაღება. დანარჩენი ყველა ტიპის იარაღის იმპორტ-ექსპორტია და შევებული, თუმცა ამ ცეცხლსასროლი იარაღის შესყიდვა ამ რაოდენობით, ვფიქრობ, კერძო პირს გაუჭირდებოდა. თანაც, ბევრ ქვეყანაში ავტომატური იარაღის გაყიდვა კერძო პირზე იკრძალება, - აცხადებს ირაკლი ალადაშვილი.

მამუკა არეშიძე თვლის, ამ ტიპის და ამ რაოდენობის იარაღის შესყიდვას კერძო პირები ვერ შეძლებდნენ და მხოლოდ სახელმწიფოსა და შესაბამის სტრუქტურებს შეეძლოთ მისი შექმნა. მისივე ვარაუდით, მსგავსი ტიპის იარაღი ფიგურირებდა ლაფანყურის სპეცოპერაციისას.

„ჩემი ინფორმაციით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კიდევ არის მსგავსი საშუალებები, როგორც მითხრეს, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. ახლა, რა თქმა უნდა, მისი გამოყენების საჭიროება არ შეიძლება იყოს - იმ დღეებში უნდა გამოეყენებულყო. არ არის გამორიცხული, ინახებოდეს იმ ყბადაღებული 6-თვიანი ვადის გასვლისთვის, რომელზედაც ლაპარაკობს ყველა (ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნება). თბილისში

ამაზე ნაკლებად ლაპარაკობენ, თუმცა რეგიონებში ეს თემა აქტუალურია. ეს არის ერთგვარი გამამხნეველი ტექსტი, რასაც ნაც-მოძრაობის კოორდინატორები თავის მომხრეებს ეუბნებიან, - აცხადებს მამუკა არეშიძე.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ დროისთვის არ სახელდება მოქალაქის ვინაობა და ბინის მისამართი. ვაკო ავალიანის განცხადებით, ძიება და დადგენის, თუ ვის მიერ და რა მიზნით მოხდა საცხოვრებელ ბინაში ამ არსენალის შეტანა.

მამუკა არეშიძე თვლის, რომ ძალიან მარტივია მყიდველისა და გამყიდველის დადგენა, მისივე განმარტებით, ეს ისეთი ტიპის იარაღია, რომლის გადაადგილების მარშრუტის გამოაშკარავება არ არის რთული.

ბარიამ თოდაძე

სამართალი

გირგვლიანის საქმეზე გამოძიებას ახალი მოწვევები უყავს

მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის ინფორმაციით, თაკო სალაყაია, რომლის გვარიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში ფიგურირებს, საქართველოში არ იმყოფება.

როგორც კბილაშვილმა ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიებას ახალი გარემოებები აქვს და ახალი მონიშვნები უყავს.

ყველა პირი, რომელიც ამ საქმესთანაა დაკავშირებული, დაიკითხა. თაკო სალაყაია და არც სხვა პირები, რომელთა გვარებიც საქმეში ფიგურირებს დაკითხვაზე დაბარებული ჯერჯერობით არ ყოფილა.

ამასთან, კბილაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მედიის წარმომადგენლების შეკითხვებს კიდევ რამდენიმე თემასთან დაკავშირებით უპასუხა, მათ შორის იგორ გიორგაძის საქართველოში დაბრუნების გეგმის შესახებ.

იგორ გიორგაძის საქმეზე ჩვენთვის პრიორიტეტული აქამდე არ ყოფილა, რადგან მიმდინარე საქმეების უდიდესი რაოდენობა გვაქვს განასახილველი, თუმცა, თუ ეს ადამიანი საქართველოში ჩამოვა, ჩვენ ფორსირებულად ვიქნებით იძულებული შევისწავლოთ და ჩვენი პოზიცია ვიქონიოთ მის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა, მისი ჩამოუსვლელობის პირობებშიც გადავხედავთ საქმეს და მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომელსაც საქმე მოითხოვს და არა პოლიტიკური ინტერესი, - განაცხადა კბილაშვილმა.

მისივე განმარტებით, თუ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობით, რაც საქმეში არსებობს, მას ბრალი წარდგენილი არ უნდა ჰქონდეს, ის უნდა მოეხსნას და თუ პირი-

ქით, მხარდაჭერილი უნდა იქნას.

მედიის წარმომადგენლებმა გურამ შარაძის საქმესთან დაკავშირებითაც დაუსვეს შეკითხვა, რაზეც კბილაშვილმა აღნიშნა, რომ თუ კი შარაძის მკვლელობის ბრალდებით გასამართლებული გიორგი ბარათელის უდანაშაულობის საკითხი გამოიკვეთება, პროკურატურა გამოიყენებს ყველა მექანიზმს, რისი საშუალებაც იქნება.

შარაძის საქმესთან დაკავშირებით, მასხოს, რომ მთავარ პროკურორად დანიშნისთანავე მალევე შემოვიდა მისი ქალიშვილის განცხადება, რომელშიც მითითებული იყო, რომ გიორგი ბარათელი უდანაშაულოა. ეს განცხადება შესაბამის სტრუქტურას დაეწერე და მიმდინარეობს ნაკვეთა. თუკი გამოიკვეთება, რომ ბარათელი არის უდანაშაულო და გამოტანილი განაჩენი არაა სამართლიანი, რა საპროცესო საშუალებებიც იარსებებს, მას აუცილებლად გამოვიყენებთ, - აღნიშნა მთავარმა პროკურორმა.

გარდა ამისა, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მან დაადასტურა ინფორმაცია, რომ საქართველოს პროკურატურაში „ლიბერტი ბანკის“ ყოფილ მესაკუთრეთა განცხადებაცაა შესული, რომელშიც ისინი მათთვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევაზე მიუთითებენ.

ამასთან, მთავარმა პროკურორმა კომენტარი გააკეთა სასამართლოს მანდატურთა ნაწილის მტკიცებაზე, თითქოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე



კუბლაშვილი საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებზე ზეწოლას ახორციელებს. მთავარი პროკურორის თქმით, თუკი მანდატურების საჩივარზე კონკრეტულ დანაშაულზე იქნება საუბარი, უწყება გამოძიებას დაიწყებს.

ბუბა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე, შესაძლოა, სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხი გამოიკვეთოს

მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის ინფორმაციით, ბუბა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა, სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც გამოიკვეთოს. „რამდენიმე დღის წინათ დავკითხეთ შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ლევან გვაზავა. ამ საქმესთან დაკავშირებით სახსენებელი იყო, რომ შესაძლებელი იქნება ბრალი სრულად გამოკვეთილი, ამას გვაკეთებთ, - განაცხადა არჩილ კბილაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე და აქვე განმარტა, რომ ეს რამდენიმე დღის საკითხია.

მთავარმა პროკურორმა არ გამოიკვია, რომ საქმესთან მიმართებაში სხვა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

ბუბა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე უკვე დაიკითხნენ შს მინისტრის ყოფილი მოადგილეები ლევან გვაზავა და გია ლორთქიფანიძე. დაკავებული იყო თბილისის საპატრულო პოლიციის ყოფილი უფროსი ზურაბ მიქაძე, რომელიც გირაოს სანაცვლოდ გათავისფულდა.

ინტერპრესნიუსი

ჭურჭლისტური გამოძიება

ბასილიძე, რომ ნებისმიერი შეფასება ან ბრალდება უნდა ეყრდნობოდეს არა მარტო ფაქტს, არამედ აუცილებელ და საკმარის მტკიცებულებებსაც. სწორედ ამით ხელმძღვანელობდა მუდამ, და, კერძოდ, ჟინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანგებო „დრო და სივრცე“. ამ გამოძიებით მიღებული შედეგების ამსახველი 7 სტატია დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2011 წლის დეკემბრიდან დღემდე.

სტატიაში დასმული პრობლემის ირგვლივ ფაქტობრივად დოკუმენტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მწვავე კრიტიკული შეფასება მიეცა როგორც სახელმწიფო მაღალი რანგის მოხელეების, აგრეთვე, კერძო კომერციული იურიდიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების უკანონო ქმედებებს. განსაკუთრებით მწვავედ შეფასდა საქართველოს პრეზიდენტის ე. შვეარდნაძის, მ. სააკაშვილის, შსს-ს მინისტრის ი. მერაბიშვილის, შპს „ჟინერის“ (1994-2004 წ.წ.), მფლობელების თ. ჭიჭინაძის, ა. კობახიძის, ე. ჩაჩხაიანის და სხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ხელმძღვანელთა იმ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავდა თბილისის და ქალაქის გარეუბნის მოსახლეობის სასამართლო წყლით მომარაგებაში მოსალოდნელი კატასტროფული მდგომარეობის აღმოფხვრის სანაშაბადი და ჟინვალის და შპს „თბილწყალკანალის“ კუთვნილი საიჯარო თანხების და ფულადი სახსრების გაფლანგვისა და მითვისებისკენ.

საზოგადოებას მივანოდეთ სრული ინფორმაცია იმ კორუფციული საქმიანობის შესახებ, რომლებშიც მონაწილეობდნენ ზემოთ მითითებული პირები და ხელს უწყობდნენ შპს „ჟინერის“ მესვეურებს.

აღნიშნულმა პუბლიკაციამ საზოგადოების მცირე ნაწილში არაადეკვატური რეაქცია გამოიწვია, რაც ბუნებრივად არის. მაგრამ სამაჟუსტაროა, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ როლში მოგვევლინა ტელეკომპანია „მე-9 არხი“.

დამაფიქრებელია „მე-9 არხზე“ 2012 წლის 25 სექტემბერს პროგრამა „ანატომიაში“ წარვენები სიუჟეტი შპს „ჟინერის“ 1994-2004 წ.წ. ხელმძღვანელის მიმართ ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შესახებ, რომლის შედეგად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თ. ჭიჭინაძე და გენერალური დირექტორი ე. ჩაჩხაიანი აიძულეს, თავიანთი 38-პროცენტისიანი წილი სახელმწიფოსთვის დაეთმო.

სიუჟეტის ავტორმა ნათია (ნათელა) მიქიაშვილმა საქმე ისე წარმოაჩინა, რომ მითითებული პირები, როგორც ბიზნესმენები, უკანონოდ იყვნენ დაჩაგრულები ქ. თბილისის მერის გიგი უგულავასა და საფინანსო პოლიციის ხელმძღვანელ დ. კეზერაშვილის მიერ.

პარადოქსი ის არის, რომ გ. უგულავა ქ. თბილისის მერის თანამდებობაზე დაინიშნა 2005 წლის 12 ივლისს.

6. მიქიაშვილმა კი გადაცემის მონაწილე თ. ჭიჭინაძეს არ დააზუსტებინა ქ. თბილისის მერის გ. უგულავას მიერ თავის სამუშაო კაბინეტში ქონების მართვის სამმართველოს უფროსის ლევან ალაფიშვილის მონაწილეობით თ. ჭიჭინაძეზე განხორციელებული ზეწოლის თარიღი.

6. მიქიაშვილი კომენტარში აცხადებს, რომ შპს „ჟინერის“, როგორც კერძო სტრუქტურა, ჟინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის მფლობელი იყო. თბილისის მერის თ. ჭიჭინაძის 2005 წლის 21 იანვრის განკარგულების საფუძველზე, ანუ ქალაქის მერად გიგი უგულავას დანიშნამდე ხუთი თვით ადრე. ბუნებრივია, ტელენამყვან კითხვა უნდა დაესვა რესპონ-

დენტისთვის ამ ვითარების დაზუსტების მიზნით ან შესაბამისი კომენტარი უნდა გვეკეთებინა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მის ინტერესებში არ შედიოდა, ისევე როგორც ეს არც რესპონდენტის ინტერესებში.

ამრიგად, წამყვანისა და რესპონდენტის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. „მე-9 არხი“ და გადაცემა „ანატომია“ მიზნად ისახავდა წინა ხელისუფლების სანაშაბადი მდგომარეობის გადაცემას. ამ სიტუაციაში ას მოერგო რესპონდენტიც და საზოგადოებას თავი დაჩაგრულად წარუდგინა. და ეს რომ ასეა, ვამტკიცებთ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებით.

გადაცემის ავტორმა წარმავალი ხელისუფლების სანაშაბადი მდგომარეობა

მიტეტო მოსმენაზე აშკარად დაუჭირა მხარი მითითებულ კერძო სტრუქტურებს. დადებითად შეაფასა ამ ორი ორგანიზაციის საქმიანობა ჟინვალის კომპლექსზე. და ეს მაშინ, როდესაც წყალგამყვანი გვირაბის რეაბილიტაციისთვის არც ერთ მითითებულ სტრუქტურას პრაქტიკული და რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს. შპს „ჟინერი“, 2000-ლარიანი საწვდებო კაპიტალის მქონე სტრუქტურა, ცხადია, ხსენებული გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით ვერ დააბანდებდა ათეულ მილიონებს. 1994-2004 წ.წ. შპს „ჟინერი“ იტაცებდა ჟინვალის ექსპლუატაციით მიღებულ ფულად სახსრებს, ხოლო კომპლექსის საბალანსო ლირებულების

რეზერვებით (9 მილიონი ლარი) გადაეცა ჟინვალის ჰიდროკომპლექსი მოიჯარის უფლებით. ამ შემთხვევაში შპს „ჟინერის“ ძირითადი როლი გამოიხატა ჰესის ხელოვნურად შემცირებული საბალანსო ლირებულების შენარჩუნებაში.

შექმნილი მდგომარეობა შედიოდა მ. სააკაშვილის ინტერესებშიც, უცხო სახელმწიფოთა კერძო იურიდიული პირებისგან შექმნილი კონსორციუმის ინტერესების საინვესტიციო სავრთაშორისო დავების განხილვის ცენტრში იცავდა ნიუ-იორკში მდებარე იურიდიული ფირმა „პეტერსონ ბელკნაფი“, სადაც, როგორც იურისტმა, ფეხი აიდგა მიხეილ სააკაშვილმა.

მაგრამ კონსორციუმის მიერ საქმის წარმოების შემდეგ ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ მოვლენილმა მ. სააკაშვილმა უგულვლად დატოვა საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება ჟინვალის საბალანსო ლირებულების და საიჯარო თანხების გაზრდის შესახებ, რადგან ხელსაყრელი დროის მოსვლამდე ეს არ შედიოდა მის მიზნებში. მან გააგრძელდა ინტერესების შემდეგ ეს სტრატეგიული ობიექტი უცხო ქვეყნის ინტერესებს დაუქვემდებარა. ამის შედეგად ელექტროენერჯისა და წყლის გაზრდილი ტარიფებით მოსახლეობა იძარცვება.

2012 წლის აგვისტოში „მე-9 არხს“ ამ თემაზე ორჯერ მივანოდეთ წერილობითი ინფორმაცია ჩვენი პუბლიკაციების შესახებ, რათა გაკეთებულიყო სატელევიზიო რეპორტაჟები ჟინვალის წყალგამყვანი გვირაბის მწვავე ავარიული მდგომარეობის და ამის გამომწვევი მიზეზების შესახებ. პირველ წერილზე გამოგვიცხადეს, რომ დაუკარგავთ, ხოლო მეორე წერილზე დუმილი არჩიეს.

„მე-9 არხის“ გადაცემა „ანატომიაში“ 2012 წლის 25 სექტემბერს დაბინძურებულ ფაქტებზე გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით ტელეკომპანიის ხელმძღვანელობისგან განმარტების მიღება შეუძლებელი გახდა. მისი მუშაკები ჩვენთან კომუნიკაციაზე უარს ამბობენ – ხელმძღვანელობა გვიკრძალავს.

ჩვენს სააგენტოს მიაჩნია, რომ ტელეკომპანია „მე-9 არხის“ რეორგანიზაციის პროცესი დროულია. ამასთანავე, იმედს არ ვკარგავთ, რომ არხის ახალი ხელმძღვანელები გაეცნობიან ჟინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ ჩვენს მამხილებელ წერილებს და საზოგადოებას ნათლად დაანახებენ ამ პრობლემის ალმოხერხებაში ე. შვეარდნაძე-მ. სააკაშვილის ტანდემის, მათ დაქვემდებარებულ სახელმწიფო სტრუქტურათა მოხელეების და მათ მფარველობაში მყოფი შპს „ჟინერის“ მესვეურების (თ. ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით) ნეგატიურ როლს.

საქართველოს მთავარ პროკურატურას კი უკვე მერამდენედ მივმართავთ, რომ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებული დანაშაულის ნიშნების შემცველ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე დაინწყოს სისხლის სამართლის გამოძიება.

თ. ჭიჭინაძე ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში საინფორმაციო საშუალებებში საზოგადოებას წარმოუდგებდა როგორც დაჩაგრული ბიზნესმენი და, ამასთან, ცინიკურად აცხადებს, რომ „ჭეშმარიტება წყალშია“.

მოვითხოვთ, რომ ამ კითხვას გამოძიებამ გასცეს პასუხი.

ვაჟა კელეურიძე, თინათინ ჩხიკვაძე, ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

რატომ ამახინჯებენ ფაქტებს?!



რობის მოთხოვნის შესაბამისი ფონის შექმნის მიზნის მიღწევის შედეგად სიუჟეტში „შემაიყვანა“ ბატიანი ი. მერაბიშვილის პერსონა, რომლის შესახებ რესპონდენტი აცხადებს, რომ ი. მერაბიშვილი 2000 წლიდან, როცა მას ეკავა საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის, ზ. ადეიშვილის კი – ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი, ამ უკანასკნელთან ერთად იცავდა შპს „ჟინერის“ ინტერესებს.

დაიხ, მართლაც იცავდნენ, მაგრამ არა კანონიერ, არამედ შპს „ჟინერის“ უკანონო ინტერესებს, თვალს ხუჭავდნენ იმაზე, რომ ჟინვალის ჰიდროენერგოკომპლექსი შპს „ჟინერს“ იჯარით გადაცემული ჰქონდა კონსტრუქციის მოთხოვნათა სანაშაბადი დეგო. კერძოდ, მე-3 მუხლში პირდაპირ არის ჩამოყალიბებული, რომ ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამოკვლევას მიეკუთვნება და არავის არა აქვს უფლება, სტრატეგიული ობიექტი ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი, რაიმე სამართლებრივი ფორმით გადასცეს კერძო სტრუქტურას, მითუმეტეს უცხო სახელმწიფოს იურიდიულ პირს... სინამდვილეში კი მოხდა საპირისპირო, თუ ვითვალისწინებთ იმას, რომ ჟინვალისზე საქმიანობდა როგორც ქართული შპს „ჟინერი“, ისე უცხოური წარმოშობის კონსორციუმი „ჟინვალის განვითარების ჯგუფი“. ი. მერაბიშვილმა პარლამენტის საკო-

ხელოვნურად, სულ მცირე ათმაგი შემცირების გზით საიჯარო გადასახადის მიუღებლობით სახელმწიფოსთან ერთად არანაკლები 100 მილიონზე მეტი ლარი გაიფლანგა.

აი, რას და ვის მფარველობენ მოქალაქეთა კავშირის მაშინდელი ახალგაზრდული ფრთის ლიდერები, კერძოდ, მ. სააკაშვილი, ი. მერაბიშვილი და ზ. ადეიშვილი. ბუნებრივია, ისმება კითხვა, რა ინტერესები ამოძრავებდათ მათ? პასუხი ნათელი და მარტივია – ისინი ლობირებდნენ შპს „ჟინერს“ და კონსორციუმ „ჟინვალის განვითარების ჯგუფს“, რაც ჩვენმა სააგენტომ დაასაბუთა წინა პუბლიკაციებში. სწორედ ამიტომ იყო, რომ შეგნებულად არ შესრულებულა 1999 წლის იანვარ-ივნისში გამოცემული პრეზიდენტის განკარგულებები, რომელთა საფუძველზე შპს „ჟინერსა“ და კონსორციუმ „ჟინვალის განვითარების ჯგუფს“ ჟინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებული მიწის ნაკვეთი და უკანონო საქმიანობის გაგრძელება, ხოლო კონსორციუმს მიეცა მიზეზი, წამოეწყო საარბიტრაჟო დავა. კონსორციუმის მოთხოვნის, 26 მილიონი აშშ დოლარის დაკმაყოფილების შემთხვევაში, არა მარტო ჟინვალის კომპლექსი, არამედ ქვეყნის სხვა ენერგობიექტებიც უცხო სახელმწიფოს იურიდიული პირის ხელში გადავიდოდა. და ეს იმიტომ, რომ ამას საფუძველი 1994 წელს შექმნა, როცა შპს „ჟინერს“ შემცირებული საბალანსო ლი-

ალიან-ჩალიანი

ხვლიკეები მთავარ პროკურატურაში

მთავარ პროკურატურაში საკადრო ცვლილების შედეგად უნდა იქნას 35 თანამშრომელი დატოვა. ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინდელ შეხვედრაზე მთავარმა პროკურორმა არჩილ კვიციანი განუცხადა.

მისივე ინფორმაციით, ახალი ხელმძღვანელობის პირობებში უნდა იქნას 55 ახალი თანამშრომელი მიიღეს.

– მთავარი პროკურატურა საკადრო ცვლილებების შედეგად სულ 35 ადამიანი დატოვა, შეიცვალა 6 საოლქო და 9 რეგიონული პროკურორი, ასევე ყველა დეპარტამენტის და თითქმის ყველა სამმართველოს ხელმძღვანელი, – დასძინა კვიციანი. გარდა ამისა, გუშინდელ შეხვედრაზე ჟურნალისტებს 12 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით სტატისტიკაც გააცნო.

– ახალი ხელმძღვანელობის პირობებში გამოძიებაში სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა სულ 12 ბრალდებულის მიმართ. მათ შორის, ზოგიერთის ბრალდება ყაზაღისტანში, თაღიკანში, აფხაზის მკვლელობას და ასევე დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას შეეხებოდა. გარდა ამისა, სასამართლოში ბრალდება მოუხსნა 16 ბრალდებულს. ასევე, სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი 3 ბრალდებულის მიმართ, აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალა 2 ბრალდებულს, აღკვეთის გარეშე დარჩა 1 ბრალდებული, ხოლო წარდგენილი ბრალდება შეეცვალა 14 ბრალდებულს. ეს მნიშვნელოვანი მომენტი იმისთვის, რომ ადამიანებს პროკურატურისა და სასამართლოს მიმართ რწმენა დაუბრუნდეს, – აღნიშნა არჩილ კვიციანი.

„სინის თემა“ 10 დღის განმავლობაში გაიხსნება

„ცინიკური პატიმართა ნამების თემაზე, რის შესახებაც საზოგადოებამ სექტემბერში შეიტყო, ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს გამოძიება. ბევრი მოვლენა და გარემოება გამოიკვეთა და უახლოესი 10 დღის განმავლობაში ვგეგმავთ იმას, რომ ცინის თემა გაგხსნათ და საზოგადოებას გააცნოთ, თუ რა მოხდა, როგორ მოხდა, რა ვითარებაში და რა მიზანს ემსახურებოდა ის“, – განაცხადა არჩილ კვიციანი ჟურნალისტებთან დღევანდელ შეხვედრაზე. მისივე განმარტებით, საქმესთან მიმართებაში არაერთი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება.

ინტერპრესი

რალა იბი სინათლე

ახლანდელ მკვიდრებში მიიღო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული „საქართველოს ეროვნული ატლასი“. უნდა ითქვას, რომ ატლასი ქვეყნის სარკეა, დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვს და სპეციალისტთა მრავალწლიანი მუშაობის შედეგია.

ამ მხრივ, საქართველოს დიდი გამოცდილება აქვს. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დიდმა ვახუშტმა ბაგრატიონმა შექმნა საქართველოს რამდენიმე ატლასი, რომლებმაც იმ დროს ევროპაში დიდი აღიარება მოიპოვეს. XX საუკუნის 30-ან წლებში აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, გეოგრაფიის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა საქართველოს ატლასის შედგენაზე, რომელიც მხოლოდ 1964 წელს ბრწყინვალე გამოცემით დასრულდა და სამართლიანად დაიმსახურა სახელმწიფო პრემიაც. ატლასის ახალ გამოცემაზე მუშაობა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო მასზე მუშაობა შეფერხდა და წელი ტემპით მიმდინარეობდა. სარეცენზიო ატლასზე მუშაობა კი 2006 წელს განახლდა. თუმცა, ამ დროს პროფესიონალი კადრების ნაწილი გეოგრაფიის ინსტიტუტიდან გაშვებული იყო და ისინი „თამაშვარე“ აღმოჩნდნენ.

ახლა, როცა ატლასზე მუშაობა დასრულდა, მივიღეთ საბოლოო პროდუქტი – „საქართველოს ეროვნული ატლასი“. მაგრამ საკითხავია, რა მივიღეთ! აქვე შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად მივიღეთ წინა გამოცემის (1964) „გადამღერება“, და თანაც დიდძალი შეცდომითა და ლაფსუსით გამოცემული.

„თეატრი გარდერობიდან იწყება“, ამბობს კონსტანტინე სტანისლავსკი. ჩვენც ატლასის გარეკანიდან დავიწყებთ: სიტყვა „ეროვნული“ აქ სრულიად ზედმეტია. რა საჭიროა ხაზგასმამ, განა ქვეყნის ატლასი შეიძლება იყოს არაეროვნული?! ატლასის ყდის დიზაინი ამ საქმეში გამოუცდელ პირებს აქვთ შესრულებული. ყდის უკანა მხარეზე, ქვემოთ, მარცხნივ გეოგრაფიის ინსტიტუტის ემბლემაა. უნდა ითქვას, რომ 1983 წელს, ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით, გამოცხადდა კონკურსი ემბლემის შექმნის შესახებ, რომელშიც გაიმარჯვა და პრემიაც მიიღო თენგიზ ლაშის ესკიზმა. მას შემდეგ ეს ემბლემა ყველგან იბეჭდებოდა და იგი არავის უარუყვია; 2006 წლიდან კი გეოგრაფიის ინსტიტუტის ემბლემა თვითნებურად გაჩნდა ინტერნეტიდან გადმოღებული გლობუსის სილუეტი (!).

გადავშალოთ ატლასი, რომელშიც ჩამოწერილია უამრავი გვარი – რედაქტორები-სა (სხვათა შორის, მთავარ რედაქტორს დიზაინიც შეუსრულებია და დაუკაბადონებია კიდევ?!), სარედაქციო კოლეგიის წევრებისა, სულ 55 ავტორის გვარი. და მით უფრო გასაკვირია, რომ სარედაქციო კოლეგიის წევრთა სიაში არც ერთი კარტოგრაფის გვარი არ არის. საკითხავია, არსებობს კარტოგრაფიული პროდუქცია, რომელსაც კარტოგრაფი არ უწევდეს რედაქტირებას?!

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ახლანდელი კარტოგრაფიული ნაწარმოები 1964 წელს გამოცემული ატლასის „გადამღერება“, რომლის შემდგენლები და რედაქტორები არავის გახსენებია. განა შეიძლება საქართველოს ატლასი გამოიცეს და წინა ატლასის სულისჩამდგმელები – ალექსანდრე ჯავახიშვილი და ალექსანდრე ასლანიკაშვილი არ ვახსენოთ? უბრალოდ უხერხულია, თორემ იმ დიდ მეცნიერებს ამით არაფერი დააკლდებათ.

ახლა ისიც ვიკითხოთ – მსოფლიოს, კავკასიის, საქართველოს, შავი ზღვის ფიზიკურ რუკებს ავტორები რომ ჰყავს მითითებული, ვინ შეადგინა?! რომელიმე ატლასიდან გადმოღება და სკანირება, ან ინტერნეტიდან ამოღება და გაქართულება სომეხ ტორობას არ ნიშნავს? ფიზიკურ რუკაზე რა შეიცვალა – რელიეფი, მდინარეთა მონახულობა, სანაპირო ხაზი?! ცხადია, შესრულებულია მექანიკური სამუშაო და მათზე ავტორებია მითითებული! ამასთან, 1964 წლის ატლასიდან ზოგიერთი რუკა თითქმის პირდაპირ არის გადმოტანილი, ხოლო ავტორებზე სხვადასხვა მითითებული.

რუკებზე ზოგიერთ ადგილას საზღვარი გადმონულია საქართველოს საზღვარდ. მაგალითად, კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. აქამდე ვიცოდით, რომ

საქართველოს ჩრდილო საზღვარი აღმოჩნდა, საიდანაც სამხრეთით ეშვებოდა აღმოსავლეთის საზღვარი. თვით საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში და ქართულ ენციკლოპედიაში აღნიშნულია – „ტინოვროსო – მთა ლაგოდების მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონზე“. სარეცენზიო ატლასის რუკებზე იგი დაღესტნის ტერიტორიაზეა მონიშნული, ჩვენი საზღვრიდან დაახლოებით 10 კმ-ის დაშორებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტოპონიმისადმი უდიერი დამოკიდებულება. ცხადია, აქ კორექტურას არ შევხებით, თუმცა ატლასში კორექტურაც გამოიტყობილი უნდა იყოს. უფრო სერიოზული

მარნეულის მუნიციპალიტეტში აღნიშნულია გამოქვაბულის პირობით ნიშნით, მაგრამ იგივე ნიშნით და წარწერით იგი ნუნდასთანაც არის მონიშნული. ეს უკანასკნელი ვარძიის ცნობილ გამოქვაბულთანაა კომპლექსია, მაგრამ შეცდომით მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზეა აღნიშნული. მდ. მაშვერის ხეობაში არსებულ სამკურნალო წყაროს ერთგან „შარდის წყარო“ აწერია, სინამდვილეში მას „ვახუშტის წყარო“ უწოდებენ. ამასთან, ზოგ რუკაზე ეს წყარო დამანისის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დასავლეთით 10 კმ-ის დაშორებითაა აღნიშნული, ხოლო ზოგზე – აღმოსავლეთით დაახლოებით 20 კმ-ზე. ეს უკანასკნელი უფრო სწორია. ქ. ახალქალაქთან აღმოსავლეთით მდებარე მთას ამირანის გორა

ცულობა არ გვაძლევს. ამიტომ, ამჯერად ამით დაგკმაყოფილდეთ, რამდენადაც **კარგად ჩანს ის გულგრილობა, რაც ატლასში ქართული ერის საუნჯის – ტოპონიმის მიმართ არის გამოჩენილი.**

მკითხველის ყურადღება გვიანდა გავამახვილოთ ერთ რუკაზე, რომელსაც „ბუნების ძეგლები“ ჰქვია. ეს არის უცილობის ნიშნები. ვერაფერია კრიტიკას ვერ უძლებს ის ფაქტი, რომ რუკაზე აღნიშნულ ბუნების არც ერთ ძეგლს წარწერა არ აქვს. თანაც ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი რუკის მიღმა დარჩა. მაგალითად, სემის და ახაცხის ბუნებრივი ხიდები, ხორხების, ჩანჩხალოს, საბანშინდის, ხიზას ბუნებრივი სამყინვაროები და სხვ. **სამაგიეროდ, უამრავი ობიექტი მოხვედრა რუკაზე, რომლებიც საერთო არაფერია აქვთ ბუნების ძეგლებთან.** ამგვარი ძეგლების შერჩევის კრიტერიუმები რომ ენახათ რუკის შემდგენლებს, ცხადია, რუკაზე არ აღნიშნავდნენ მწვერვალებს, მყინვარებს, ქვიან მყინვარებს, პანორამულ ხედებს, კლდეზავებს. ბუნების ის ობიექტები, რომლებიც დაცვას მოითხოვენ, ყოველთვის როდი შეიძლება იწოდოს ძეგლებად. დაცვას ხშირად საჭიროებს არა რელიეფის ცალკეული ფორმები, გეოლოგიური გაშიშვლებები და წყალსატევები, არამედ მეტნაკლებად ვრცელი ტერიტორიები მათ ფარგლებში არსებული ყველა არაორგანული და ზოგჯერ ორგანული ობიექტით. ხშირად ამგვარი სივრცეები გამოცხადებულია ნაკრძალებად, ალკვეთილებად, ეროვნულ პარკებად მათი ფაუნისა და ფლორის დაცვის აბრით. ამ დროს კი ატლასის ბუნების ძეგლების რუკაზე 16 მწვერვალია აღნიშნული, 28 პანორამული ხედი. ეს უკანასკნელი სრულებით ვერ თავსდება ბუნების ძეგლებისადმი ნაყენებულ კრიტერიუმებში. ასევეა მყინვარები და ქვიანი მყინვარები. ისინი შეიძლება დადნეს, ან დაიყოს ნაწილებად. **მყინვარები დასაცავია, მაგრამ ბუნების ძეგლად არ შეიძლება გამოაცხადოთ. რაც შეეხება კლდეზავებს, ეს სრული გაუგებრობაა.** ბუნების ძეგლი ესთეტიკური ტკობის ობიექტია და როგორ შეიძლება კლდეზავი ამ დანიშნულებას ასრულებდეს. სამაგიეროდ, რუკაზე მთელ საქართველოში მხოლოდ 3 კანიონია აღნიშნული, 3 ტრავერტინი, 3 ვოკლუზი, 5 კარსტული უფსკრული, იმ დროს, როცა მსოფლიოში ღრმა უფსკრულებიდან საქართველოში 7 კარსტული უფსკრული 1000 მეტრზე ღრმაა, ხოლო მსოფლიოს უღრმესი უფსკრულების პირველი ათეულიდან ოთხი საქართველოშია. როგორც აღინიშნა, ბუნებრივი საყინულებები კი ბუნების ძეგლების რუკაზე საერთოდ ვერ მოხვდა.

საერთოდ, რუკის მასშტაბის მიხედვით თუ ვიმჯვებოთ, ბუნების ძეგლების პირობითი აღნიშვნები რუკაზე გაიშვითა თებულება, მით უმეტეს, რუკაზე ისეთი ობიექტებიცაა აღნიშნული, ბუნების ძეგლებად რომ ვერ ჩაითვლება. ამასთან, პირობით აღნიშვნებში მღვიმეებია აღნიშნული, ხოლო რუკაზე ამავე ნიშნით გამოქვაბულებიცაა. ამასთან, ქ. მარნეულის დასავლეთით მღვიმის პირობითი ნიშანია აღნიშნული, რაც, ალბათ, სამშვილდის (ქცია-ჭიჭიჭაის) გამოქვაბულები უნდა იგულისხმებოდეს. ასევე თიანეთთან – ქობულაძის გამოქვაბულები. სპეციოლოგიურ რუკაზე კი გამოქვაბულებიც კარსტული მღვიმის პირობითი ნიშნითაა აღნიშნული. ჯრუჭულას მღვიმე საჩხერის სამხრეთით არის მონიშნული მაშინ, როცა იგი ჭიანჭურასა და საჩხერის შორისაა. ახალი ათონის მღვიმე ზღვის სანაპიროსთან ახლოსაა, თვით, ახალ ათონში. რუკაზე კი სანაპიროდან ძალზე დაშორებულია. მასუცნეთის ჩანჩქერი მდ. აჭარისწყლის მარჯვენა მხარეზე 300-ზე მეტრის დაშორებითაა, ხოლო რუკაზე მდინარის მარცხენა მხარეზე, და თანაც, თურქეთის საზღვართან.


რუკაზე ბუნების ძეგლებით ძალზე ღარიბულად არის წარმოდგენილი აჭარის ტერიტორია. აქ მხოლოდ 5 ძეგლია აღნიშნული, მათ შორის 2 პანორამული ხედი. ამ დროს აჭარაში ბუნების 120-ზე მეტი ძეგლია აღნიშნული. აქედან 10-15 სომეხი მინერალური და მკურნალობითი რუკაზე?

დაბოლოს, ჩვენ ძირითადად ატლასის რუკებზე დაშვებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებსა და „ბუნების ძეგლების“ რუკაზე ვისაუბრეთ, სათქმელი ამ და სხვა რუკებზე ბევრი დარჩა და ამის შესახებ, იმედა, შესაბამისი დარგის სპეციალისტები იტყვიან.

კობა ხარაძე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გულგრილობისა და ამაპრტაპნობის უძაბი

უფსკრული და ლუსუსებით გამოხეული ატლასი ქართული ერის საუნჯის – ტოპონიმის მიმართ გამოჩენილი გულგრილობა რუკაზე ისეთი ობიექტებისაა აღნიშნული, კვლავ რომ ვერ ჩაითვლება



შეცდომებია, რომელთა ნაწილი კურორთა მდებარეობის მიხედვითაა. ყველას ჩამოთვლა ძალიან შორს ნაგვიყვანს, დავასახელებთ მხოლოდ მცირე ნაწილს, რომლებიც ერთი გადამხედველი თვალს გტვდებდა. ასე, მაგალითად, მთა ცეკურის ნაცვლად – **წიქური** წერია, მდ. **შარდის** ნაცვლად – **შარდული**, **ზრესკის (ზესკის) ტბის** ნაცვლად – **ფასკის ტბა**, **რკვიას** ნაცვლად – **რქვია**, **კინდის** ნაცვლად – **კინდი**, **ყულანურხვას** ნაცვლად – **ყულანურხვა**, **ქეთერისის** ნაცვლად – **ქეტისი**, **წრუს** ნაცვლად – **ცრუს**, **ჩაბარხის** ნაცვლად – **ჩაბარხი**, **ნაზარლოს** ნაცვლად – **საზარლო**, **ტბეთის** ნაცვლად – **სადიკი**, **ოზნის** ნაცვლად – **ოზანი**, **საბიტიაშოს** ნაცვლად – **სპიტიაშე**, **ნახიდურის** ნაცვლად – **არუსლო**, **ნახის ქედის** ნაცვლად – **ხორხის ქედი** და სხვა მრავალი. ასე დაუსრულებელი შეიძლება ამ სის გაზრდა, მაგრამ მგონი, საკმარისია.

ერთი და იმავე ობიექტის სახელწოდება ატლასის სხვადასხვა რუკაზე განსხვავებული არ უნდა აღინიშნოს. სარეცენზიო რუკებზე ეს წესიც დარღვეულია, მაგალითად, მდინარე და ჩანჩქერი **კლიჩი** ზოგ რუკაზე **ყლიჩად** არის მოხსენიებული ზოგ რუკაზე **ფოცხოვოს ფოცხოვისწყალი** აწერია, უღელტეხილი – **ზაგარი**, ზოგ რუკაზე – **ატკერი**, ზოგან – **მადათაფას ტბა**, ზოგან – **მადას ტბა**, ზოგან – **გოსტიბეს** ნაცვლად – **გოსტები**, ზოგან – **თომაშეთი**, ზოგან – **ტომაშეთი**, ზოგან – **თეთრი მღვიმე**, ზოგან – **თეთრა მღვიმე**, ზოგან – **სანაწილი**, ზოგან – **დიდი ხანწალი** და სხვ.

ზოგიერთი ობიექტის სახელი რუკებზე არასწორადაა აღნიშნული. მაგალითად, მდ. ბზიფის სათავეებში არის **ჩადიმის ქედი**, ნინამდებარე ატლასის რუკებზე მას **ჩადიმის მთა** აწერია, **წოფის** გამოქვაბულები

ჰქვია, ატლასის რუკებზე აღნიშნულია „თავშანთაფა“. ასევე, გლდანის **დიდ ტბას** ახლა **თეთრი ტბა** ჰქვია. დამანისის პლატო ჯავახეთის ქედის ფერდობებზე არ მდებარეობს. **ვანის ქვაბები** მტკვრის მარჯვენა მხარეზე ვარძიასა და თმოგვს შორის მდებარეობს, ატლასის რუკაზე კი ახალქალაქის პლატოზე, ქ. ახალქალაქთან არის აღნიშნული. **სამსარის მთა** დიდი აბულის მერიადიანულად არის გალაგებული, ატლასის რუკაზე კი გაცილებით დასავლეთითაა აღნიშნული და სხვ.

ტოპონიმთა ნაწილი თითქოს კორექტურაა, მაგრამ რუკის შემდგენლებს სწორად ასე მიაჩნიათ. მაგალითად, დავითგარეჯი და დავითგარეჯა, კვიასი (სხვა რუკაზე ქვიასი) და კვიასა, ვური და ვურა, კვეტარი და კვეტერა, ოტა და ოთა, ბალიათა და ბაგათა, ფანშეთი და ფანშეთი, ჩხერე და ჩხერი, სოსტა და სოსთა, ედისი და ედისა, კოსტო და ქოსტი, ბიდარი და ბიდარა, ბრიტატა და ბრიტათა, სახმათი და სახმატი, კილა-კუმრა და ქილაკუმრა და სხვა მრავალი.

ცალკე უნდა შევხებით მდ. ქცია. იგი სულ 117 კმ-ის სიგრძისაა და მთლიანად ჩვენსავე ტერიტორიაზე გაედინება. ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში ამ მდინარეს ქცია ჰქვია, XIX ს-ში რუსმა ტოპოგრაფებმა მას დაუმკვიდრეს არასწორი სახელი ხრამი. საბჭოთა წლებში მდინარის ზემო ნაწილს ქცია ეწოდებოდა, ქვემო კი – ხრამი. ამის შესახებ არაერთი შრომა დაიბეჭდა, მაგრამ ზოგი ავტორი მაინც დაჟინებით არასწორად ხმარობს. ასეა წინამდებარე ატლასშიც.

შეიძლება ითქვას, რომ ატლასის რუკებზე ტოპონიმთა იმდენი შეუსაბამობა და შეცდომაა, რომ მათი ჩამოთვლაც კი შორს ნაგვიყვანს, რის საშუალებას წერილის მო-

სოფლო, ჩემო სოფლო!

იმის მიუხედავად, რომ სოფლის მეურნეობა წინა ხელისუფლებისთვისაც ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად ითვლებოდა, ყველა კარგად ვხედავდით, რომ მაშინდელი ხელმძღვანელების ამ მიმართულებით „მოღვაწეობა“ „Farm Ville“ (ფერმა)-ს თამაშს უფრო აგავდა, ვიდრე ქვეყნისთვის ამ უაღრესად სასიცოცხლო საკითხზე მუშაობას.

მექანიზაციის განვითარების პროგრამა, პოლიციის ეზოებში უსაქმოდ მდგარი ტრაქტორები, უხარისხო იმპორტირებული პროდუქციის მიერ განდევნილი ქართული, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, გენმოდირებული სიმინდი, დაკარგული რუსული ბაზარი, უცოდინარი მინისტრები თუ კამპანიური ხასიათის ღონისძიებები — ის მემკვიდრეობაა, რომელიც ახალ ხელისუფლებას დასვდა და რომლის გამოსწორებასაც გარკვეული დრო და მუსხლაუსრელი შრომა ესაჭიროება.

ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილი გამოდგებით საუბრობდა სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე, იმ ნაბიჯებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაიდგას. მილიარდიანი ფონდი, რომელიც საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საკმაოდ სერიოზული წინაპირობაა, მოქმედებს უკვე აწევს.

თავიდანვე ცნობილი იყო ფონდის მუშაობის მიმართულებები.

ესენია — მცირემიანი ფერმერების ხელშეწყობის პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის მეურნეობაში ჩართული კომპანიების იაფი კრედიტებით უზრუნველყოფა, გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების უზრუნველყოფა და სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ხელშეწყობის განხორციელება.

ამასთან, როგორც სამინისტროში აღსადებენ, მუშაობა მიმდინარეობს პრემიების მიერ გახმოვანებულ უპრეცედენტო ხვანათესის პროგრამის შექმნისთვის. იგეგმება ახალი ტრაქტორებისა და მოტობლოკების შექმნა. დაგეგმილია სამელიორაციო სამუშაოებისთვის ტექნიკის შექმნა. სარწყავი სისტემების აღდგენა ზოგიერთ რეგიონში ზამთარშივე მოესწრება. გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა იმისთვის, რომ გაზაფხულამდე თითო რეგიონში თითო ახალი საშუალო და მცირე გადამამუშავებელი ქარხანა გაჩნდეს.

საინტერესოა, როგორ ემთხვევა ერთმანეთს ამ მხრივ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხედვა ადგილობრივი ხელმძღვანელების ხედვას. სწორედ ამ მიზნით ჩვენ მივმართეთ სოფლის მეურნეობის მინისტრს **დავით კირვალიძეს** და აბაშის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს სოფლის მეურნეობის საკითხებში **გიორგი ღუნღუას**.

სიმინდის მოსავლიანობის გაზრდისა და ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თესლბრუნვას, რაც მენარჩევებმა უნდა გაითვალისწინონ. ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კარგად ხარობს სოიას კულტურა, რომელიც კარგად მიდის სიმინდის კულტურასთან თესლბრუნვაში.

კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი — სამელიორაციო ინფრასტრუქტურით რეაბილიტაცია: აბაშის მუნიციპალიტეტში თითქმის ყველა სახნავი ფართობი მდებარეობს ღია დაშრობით ქსელში, რომელიც 20 წელზე მეტია არ ამონუნდია, ამის გამო, რა თქმა უნდა, სრულყოფილად არ ფუნქციონირებს, რაც უარყოფითად აისახება მოსავლიანობაზე, ამასთან მოსალოდნელია უფრო მძიმე შედეგები, მეორადი დაჭაობების ჩათვლით.

საჭიროა ბუნებრივი ნატანებისაგან

სოფლის მეურნეობის მინისტრმა **დავით კირვალიძემ** მილიარდიანი ფონდის ძირითადი მიმართულებების, მიზნებისა და ამოცანების შესახებ საკმაოდ კონკრეტული ფორმულა ჩამოაყალიბა: — ფონდის მიზანია, — თქვა მან, — საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება, ხოლო მისი ამოცანებია მცირემიანი ფერმერების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის მეურნეობაში ჩართული კომპანიებისათვის შეღავათიანი და გრძელვადიანი კრედიტების უზრუნველყოფა, კომერციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის (მათ შორის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის) თანადაფინანსების უზრუნველყოფა, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შემოღება და დანერგვა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა, მინის ფონდის შექმნა და მინის კონსოლიდაციის ხელშეწყობა...

— არსებობს თუ არა სოფლის მეურნეობის განვითარების კონკრეტული გეგმა? — ამჟამად მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა და სოფლის მეურნეობის განვითარების ჩვენი სტრატეგია უახლოეს მომავალში შეგეძლებათ იხილოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საიტზე www.moa.gov.ge

— როგორც მოგეხსენებათ, მექანიზაციის სერვისცენტრებში მომსახურების პროცედურა რთული იყო, რის გამოც ბევრი ვერ ან არ სარგებლობდა არსებული ტექნიკით და ეს პრობლემა ძირითადად მაინც სანავაგებოთ იყო დაკავშირებული. საინტერესოა ვეროების გამოცდილება. განთავისუფლდება თუ არა ასეთი სანავაგებოთიდან აქციონისა და სხვა გადასახადებისგან?

— რაც შეეხება ევროპულ გამოცდილებას სანავაგებოთ დაკავშირებით, — აუცილებლად გავითვალისწინებთ და ანალოგიურს ან მსგავს ფორმებს შემოვიღებთ იმისთვის, რომ ფერმერებს და გლეხებს ხელმისაწვდომი ფასში ჰქონდეთ სანავაგებოთ გათვალისწინებული სერვისცენტრების მომსახურება. დაგეგმილია ახალი ტრაქტორებისა და მოტობლოკების შემოტანა, ასევე სამელიორაციო სამუშაოებისთვის ტექნიკის შექმნა.

— რამდენად მნიშვნელოვანად მიგაჩნიათ რუსული ბაზრის დაბრუნება ქართული პროდუქციისთვის? რა იქნება ამის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები? — ქართული პროდუქციის დაბრუნება რუსულ ბაზარზე ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია და მთელი მსოფლიოსთვის მიმზიდველი ბაზარია. ამ ბაზარზე დაბრუნება საკმაოდ პოზიტიური იქნება საქართველოსთვის. ბუნებრივია, რომ წარმატება, უწინარესად, იმ პროდუქტს ექნება, რომელიც ტრადიციული ექსპორტირებული პროდუქტი იყო წლების განმავლობაში: ალკოჰოლური სასმელები, მინერალური წყალი, ციტრუსი და სხვა მრავალი.

— კონკრეტულად რა გეგმები არსებობს და რა ნაბიჯები იდგმება ამ მიმართულებით სამინისტროში? ზოგადად, როგორ წარმოგიდგენიათ სახელმწიფოს როლი რუსულ ბაზარზე ქართული ექსპორტის სტიმულირების თვალსაზრისით? — სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის რუსეთის ბაზრის დაბრუნება ერთ-

როგორ მოხანს სოფლის მეურნეობის პრობლემების გადაწყვეტის პერსპექტივაში სამინისტროს და მუნიციპალიტეტიდან?



ერთი მთავარი პრიორიტეტი.

მიმდინარეობს ყოველდღიური მუშაობა პრემიების პირად წარმომადგენლებთან ერთად, ასევე კერძო მენარჩევებთან. არსებობს იმისთვის მზადყოფნა, რომ რუსეთის ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის გუფი შეიქმნას და მიიღოს წარმომადგენლები რუსეთიდან.

— სორბლის ადგილობრივ წარმოებასთან დაკავშირებით რა კონკრეტული გეგმები ისახება და გაიხსნება თუ არა სორბლის ფაქტორის იმპორტი?

— სორბლის ადგილობრივი წარმოებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდება მომავალი წლის შემოდგომამდე, ვინაიდან ქვეყანაში წარმოებული სორბლის ძირითადი ნაწილი არის საშემოდგომო სორბალი. ეს იქნება კომპლექსურად განხილული თავისი აგროტექნიკის ყველა ნიუანსის დაცვით, ასევე მაღალხარისხიან თესლზე ხელმისაწვდომობით და ხარისხიანი ტექნიკით შესაბამისი ფართობების დამუშავებით. ფაქტორის იმპორტის განხრით შექმნილი იყო ხელოვნური ბარიერები, რომელთაც ახლა სპეციალური კომისია სწავლობს და უახლოეს მომავალში ეს საკითხი გადაწყდება.

სოფლის მეურნეობის რეფორმასთან მიმართებაში საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე სოფლის მეურნეობის საკითხებში **გიორგი ღუნღუამ**.

— რა მნიშვნელობა ენიჭება აბაშის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებას და როგორია მისი სპეციფიკა?

— დავინყობ იქედან, რომ აბაშის მუნიციპალიტეტი აგრარულია და წარმოებულ შიდა პროდუქტის დაახლოებით 90 პროცენტზე მეტი აგრარულ სექტორზე მოდის; აქედან გამომდინარე სოფლის მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების, აგრეთვე მოსახლეობის ეკონომიკურად მოძლიერების საქმეში.

რაც შეეხება სპეციფიკას, — აბაშაში მონოკულტურად იყო დარჩება სიმინდი, რომელსაც სახნავ-სათესი ფართობის 90%-ზე მეტი უკავია; ასევე პრიორიტეტულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რძისა და ხორცის წარმოება.

— თქვენ ახსენებთ სიმინდის კულტურა, როგორც მუნიციპალიტეტისათვის მონოკულტურა, რომლის საშუალო მოსავლიანობა დღეის მდგომარეობით არც ისე მაღალია, რას აკეთებთ მისი მოსავლიანობის გაზრდისათვის?

— როგორც ცნობილია, საქართველოში სიმინდი მოიხარება როგორც საფურთხედ, ისე სასურსათოდ. ორივე სახის წარმოების შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების შერჩევა-დარეგულირებას. გასული საუკუნის 70-იან წლებში პირველად აბაშაში დაიწყო სიმინდის მოყვანა კომპლექსური მექანიზაციით და არც თუ ისე ურიგო შედეგები იქნა მიღებული. იმ პერიოდში აბაშაში, დარბაზის მთიანეთის მხარეში, მრავალი სიმინდის ჰიბრიდული თესლი გამოიცადა, ყველაზე კარგი შედეგი კი იუგოსლავიურ „ზუსკ“ მოდიფიკაციისაგან მივიღეთ. აღნიშნული ფორმა სერბეთის ტერიტორიაზე დღესაც ფუნქციონირებს და კიდევ უფრო მაღალმოსავლიან სიმინდის ჰიბრიდულ თესლებს აწარმოებს, — შექტარზე 14-15 ტონა მარცვალი. ყოველად გაუმართლებელი იყო 2011 წელს „პიონერის“ ფორმის 90 და 110 დღის სავსეობის პერიოდის სიმინდის ჰიბრიდული თესლის შემოტანა სახელმწიფოს მიერ ისინი შედარებით დაბალმოსავლიანია და ჩრდილოეთის რეგიონებისათვის არის განკუთვნილი. შედეგად მივიღეთ დაბალი მოსავალი, მეწარმეებმა იზარალებს.

რაც შეეხება ადგილობრივ სასურსათო ჯიშებს, მათ აუცილებლად ჩირდებდა დაცვა, ამ კუთხით შესაბამისი შედეგები და განსახორციელებელი სათანადო ღონისძიებები; ვინაიდან ისეთი ჯიში, როგორცაა „აბაშის ყვითელი“, რომლის გამოყენებაც ჩვილ ბავშვთა კვებაშიც შეიძლება, ამჟამად გადაშენების გზაზეა.

ამონიმინდოს როგორც მაგისტრალური და კოლექტიური, ასევე შიდა სამეურნეო წყალსარეტი არსები.

რაც შეეხება მოსავლის აღება-დაბინავებას, ამ მხრივ მდგომარეობა კარგადაა, კერძოდ: — წლეულს აბაშის მექანიზაციის სერვისცენტრმა აშშ-დან და ინგლისიდან შემოიყვანა თვითმავალი სიმინდის ასაღები კომბაინები, რომლებიც მარცვლად იღებს სიმინდს. მარცვლის შენახვა კი შესაძლებელია უახლესი დანადგარ-მონკობილობებით აღჭურვილ და შრომისა და შენახვის თანამართლებ ტექნოლოგიების მქონე აბაშის მარცვლის საშრობ ცენტრში, რომელიც მომსახურებას უწევს არა მარტო აბაშაში მომუშავე, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში მომქმედ მარცვლის მწარმოებლებს.

— რა გეგმებით პერსპექტიულ და მომავლის კულტურად აბაშის მუნიციპალიტეტში.

— ასეთად მესახება თხილის კულტურა და, საერთოდ, მიმჩნია, რომ ჩვენთან, საქართველოში აქცენტი უნდა გაკეთდეს სუბტროპიკულ კულტურებზე, რომლებიც ჩრდილოეთის რეგიონებში არ მოიყვანება, არ არის მალეფუტები და მოთხოვნაა საერთაშორისო ბაზარზე (ექსპორტზე ორიენტებული). საბჭოთა პერიოდში, გეგმიური ეკონომიკისა და საბჭოთა ქვეყანაში არსებული თითქმის ჩაკეტილი ბაზრის პირობებში, სწორედ — ჩაი, ციტრუსი, ტუნგო და სხვა იყო ის სუბტროპიკული კულტურები, რომლებმაც დასავლეთ საქართველოში დიდად შეუწყო ხელი მოსახლეობის მატერიალურად გაძლიერებას. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთივე როლის შესრულება შეუძლია თხილის კულტურას.

თხილის კულტურა არ არის მალეფუტები, საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნა და სხვა კულტურებთან შედარებით რენტაბელურია, ამასთან უკუგებას იძლევა 4-5 წელიწადში, ხოლო სრულ მსხმოიარობას იძლევა 8-10 წელიწადში, არ საჭიროებს დიდ მოვლით სამუშაოებს, ამასთან აუთომატურად ეკოლოგიურ პირობებს. ისეთი სუბტროპიკული კულტურები, როგორცაა ფეიხოა და კივი, აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხშირი ქარიანობის გამო (როინის ხეობა) ნაკლებად პერსპექტიულია.

თხილის კულტურა უკვე გახდა მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროდ იმ ოჯახებისათვის, რომლებმაც 7-8 წლის წინათ დაიწყო მისი მოშენება. თხილის ნარგავობის რაოდენობა მუნიციპალიტეტში რო-

ცხელი კაზი

667 სამჯარი და უფრო მეტი 200-ზე!

შპს-ში გაქვითა თურქული ბარლამენტის (სუბტურებიან გრძელს რომ მიეცეს, დამატებით, მაგისი ცოდეგა) ბიუროს (ახალმა, მე-8 მონვევისა) თურქი 118 დეპუტატს თვეში 667 ლარი გამოუფო თუ დაუნიშნა „საგარდო და სამაისო“-ში ბიზნესის დასაქირაველად. ეს თვეში 78 206 ლარს „იქმს“, წელიწადში კი, 12-ზე გამრავლებით, 944 472-ს, მილიონს ბევრით აღარ უკლია...

ამ ფონზე დევნილებს, - განვალეულ-გატანჯულაა გარკვეულ კონტინენტს, საცხოვრებელი ფართის დასაქირაველად თვეში (და ისიც 6 თვით) 200 ლარს პირდებიან. ბუნა, რაფრა გაძვირებულა იმერეთის დედაქალაქში საქირაო ოთახები თბილისთან შედარებით... კი მარა, ამ მაღალხელფასიან პარლამენტარებს რომ სამჯერ და კიდო მეტი ეძლევათ, ვიდრე შემწეობა მოსხსნელ ლტოლვილებს ერთი და იმავე დანიშნულებით - ეგ სადაური წესი და სამართალია, ასინეთასი?... თავის დროზე რომ არც ერთმა დეპუტატმა კრინტი არ დაძრა თავი გასული და ფუნებზე ფეხლასი და ყველაფრის დამკვიდრებელი პრეზიდენტის (მე შენ გეტყვი და, ცოტა დაეტევა გრძელ ფეხებზე) მორიგი ახირების საბასხოდ - ახლა კეთილ ინებონ და ხელფასიანი ინალონ ქირა, საცოდავ სახელმწიფო ხაზინას კიდევ ეს ეჭირება?... ისიც მაინტერესებს, რა ნიშნით მოითვალეს 155-სულიანი სადეპუტატო კორპუსიდან 118 „სტიმენდიანტი“ - შედარებით „ლარინტი“ შეარჩიეს? ან რომელია ქუთაისელმა სახლის პატრონმა „დუფასა“ ერთი ოთახი მაინც დამინც 667 ლარად გაქვითა თურქულ კანონმდებლებს, მრგვალი რიცხვები როდის აქეთ შეიძულეს იქაურებმა?...

მე კი მაინტერესებს, მაგრამ მე რა? ვინც რა უნდა თქვასო, ბიუროს კი ფეხვასო... იმიტომაც ვერ მიიღო ყველაზე „მსუფე“ გადამწვეტილება ამ რაღაც თენახვერის სიგრძეზე... პარლამენტის თავმჯდომარის განვარგულეებისა არ იყოს - დეპუტატ აუკო მინაშვილს ულიმიტო „სევიდანის“ ნება რომ დაარსო „ცოტენ“ ახალაიას მოსახილველად და ჩასახუტებლად... რა, სპივერს სხვა საქმე არა ჰქონდა-რა? საყრობილის უფროსი მყავდა, პატიმრების ნახვის უფლებას რომ განვარგავდა?...

სულის პრ იყოს, ფულის ტკბილი...

„ბანიმარეა უფლი“ პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარის, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც დამსახურებულად გამორჩეულს, საჯარო გამოსვლებში არაერთგზის გამოუთქვამს სამართლიანი აღზომებები ექიმების, პედაგოგების, მეცნიერთა თანამშრომლების სამარცხვინოდ დაბალი ხელფასების გამო; და ანაზღაურების მომართვა მოუთხოვია.

ეს აღზომებები კიდევ მეტად დამაჯერებელი გამოიჩინა დეპუტატმა, თუ ის დეპუტატის სახელისუფლებო დიდაცა და დიდქალაქი დიდ ხელფასებსაც გაიხსენებდა (მე ვიტყვოდი, ამჟამადვე სოციალურ ფონზე, ამ დანაშაულებულ ქვეყანაში გამოწვევად დიდს, „მეგირალად“ დიდს) და იმათ შეგვიცადაც მოითხოვდა („სრ“-ის ფურცლებზე ეს საკითხი ბევრჯერ განმინებულა; ჩვენმა მკითხველმა იცის, რამ არაერთი სახელისუფლებო დიდმოხელის სახელფასო განაკვეთი დღეში - 200, 300, 500 ლარად ვი გამოდის); ვერძოდ, პარლამენტარებისაც, მით უფრო, რომ ზოგიერთი მათგანი სხდომებზე დასწრებასაც არ კადრულობს (იმ გოკამ უთხრა ამ ვანოსა - სესია არის საგარდოსა; - კი არ მეჭორებაო, მაგრამ მეშორებაო...).

აქვე სათქმელად - და ყველა მკითხველმა ეგებ ეს არ იცის - „ელიტური“ პენსიაც არსებობს: საკმარისია, მაგალითად, პარლამენტის აპარატში 8 წლის მუშაობის სტაჟი, რომ წამოვსვას 500 ლარიდან დაწვეული ენიშნება, მაშინ როცა, ვთქვათ, 30, 40 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე საცოდავ პენსიას იღებს...

მე პირადად, თუ გულანდილობის ნებას მომცემენ, მეგონა, რომ საარჩევნო ყუთების რეგულაცია გაჯეჯილებულ სამთავრობო მენეჯერებსა, „თვითრის“ შემცირების საკითხსაც წამოჭრიდა ერთ-ერთ პირველად, თუმცა გამარჯვებული ქართველები ჯერჯერობით ამანვე დუმან: მარტო სული კი არ არის ტკბილი, ფულიც ტკბილია და იგი ფული ყველაფერზე მაღლა დგას - სინდისზეც, სამართალზეც, სამართლიანობაზეც - ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სინამდვილეში. ვიცი ეს მე...

ესაუბრა ბიბა ბაბრიძე

